„ქართულმა ტექნოლოგიურმა პროდუქტმა საერთაშორისო და სტრატეგიული აღიარება მოიპოვა. ქართული მეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ტექნოპარკების შექმნა, სადაც ქართული მეცნიერები არა მხოლოდ დააპატენტებენ საკუთარ გამოგონებებს, არამედ ადვილზევე შეძლებენ პროდუქტის წარმოებას. ტექნოპარკების დაარსებით შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ხოლო მეცნიერებისთვის გაიზარდება დღინასება“ – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შამკინმა. ინსტიტუტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებითაც აწარმოებს კვლევებს, მინისტრების დაკვირვებას, სემინარების დასრულებას, სამეცნიერო და პრაქტიკულ სამუშაოებს. დაწესებულება ონლაინ რეჟიმში ინფორმაციას იღებს 10 სემინარ სადგურიდან (ონა, ახალქალაქი, ენერჯის კამპალი, დავით გარეჯი, დუშეთი, ნინოწმინდა და თბილისის რამდენიმე სადგური), ასევე მეზობელი ქვეყნებისა და საერთაშორისო სემინარ სადგურებიდან. ინსტიტუტი მინისტრთან ინფორმაციას მომენტალურად აწვდის საგანგებო სიტუაციათა სამსახურს.

ილას სახელმწიფო უნივერსიტეტის დეამინის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სემინარული ქსელი 30 სადგურისგან შედგება. ისიც ბოლომდე იგეგმება სადგურების რაოდენობის 40-მდე გაზრდა.

„საქვირველი კაცის“ ბიობრაფიული დეტალები

„თამამად შემოძლია ესთვება: იდგის სახედ ქვედაში, აზრის სიტყვად ბორცვებში, მხატვრულის მთლიანობაში, ჰქმნათა სრულებაში მის მხოლოდ დიდებული დანტე თუ შეედრება... - ეს გრივოდ რომაქიძის მუფასებაა ჯერ კიდევ აკაკის ნახევარსაუზუნოვანი ოუბოლი-სადმი მიძღვნილი, - ჩემის აზრით, აკაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობა შეუცნობელი გენიალობაა: მან ვერ მიადლია გენიალურ შეუცნობელობას. ეს არის მიზეზი, რომ მისი გენიალური ბუნება გენიოსად ვერ იქცა.“

აი, თქმა, რომელიც ჯერჯერობით უცდის ავტორს.

ამ ლოდინში, ბევრიც დაინერა და ბევრიც აღიბეჭდა, გასაკვირიც არაფერია, აკაკის დაბადებიდან 170 წელი გავიდა და მისი სახელი საუკუნუნებავარზე მეტმა დრომ კიდევ უფრო გააქამკამა. ალბათ, მაშინ, როცა ნახევარსაუკუნის ოუბოლიესათვის გზაზედგინდნენ ვერვინ წარმოიდგინდა, რომ საუკუნის მერე საპატრიარქო მისი კანონიზაციის საკითხს განახილავდა. მწერლის წინიდანად შეტრაცვის იდგის ავტორი, მისივე მუხუშუმის დირექტორი ცეზარ ლაში აკაკის სექტლანტიან ნივნის უძღვის - „ქრისტიანობის ჭეშმარიტ მსახური და მქადაგებელი“. იდგის ავტორსაც და საპატრიარქოში შეკრებილ კოშიისა იმთავითვე გამოუჩინდნენ განსხვავებული აზრის ადამიანები, რომლებმაც თავი ვერ აარიდეს აკაკის ცხოვრების იმ დეტალებს, რომლებიც მის ბანქოსადმი და ქალეისადმი განსაკუთრებული სიყვარული ადასტურებდა. სხდომას ლიტერატორებიც და ისტორიკოსებიც ესწრებოდნენ, იდგის ავტორმა კი გაცხადდა, რომ ამ კითხვებს დოკუმენტური პასუხი გაცეცა: აკაკის მთელი ცხოვრება პლატონურად უყვარდა ის, ვისაც ლექსებს უძღვნიდა. „ერთხელ მზე ამოსული არც კი იყო, სასტუმრო „გრანდ ოტელიან“ შევხდი. სახე დალილი ჰქონდა. ტყვობდა უძინარი იყო. მივხსალმე და შევეკითხე: - „სად ბრძანდებიდი, ბატონო აკაკი, ასე დიდიდარიანი? - ჩემი ვარინკა ლომილი მინახება აკაკი, მთელი ჩემი სიცოცხლე სულიერ სინძინებზე ვუსრუნავდა და, მეორე, ამ მხრივ მიზანს მე ვაღივ კიდევ. ეხლა ამ ცინცხალ დილაზე, ხორციელადც და სულიერადც განსწმენილი ვიბაღავარ: ნუხებ მიელ ღამეს ბანქოს ვინახებდი და რაც უფლი მესება, მთლად ვინახავ. ასე რომ, სრულად გასულიავეთელი მიღვივარ ჩემს საკანში (თავის პატარა ნომერს ასე ეძახდა) - იგივეს ვარინკა ვწერეთელი. საპატრიარქოში სპეციალურმა ვჯვრება დეტალურად უნდა შეისწავლოს აკაკის ცხოვრების ბიოგრაფიული უც ცხოვრების წესის დეტალები, მისი ნაწარმოებები და იმდროინდელი პრესაც კი. აკაკის კანონიზაციის წინდა სინოდი გადაწყვეტს, ჩვენ კი აკაკის ბიოგრაფიულ დეტალებს მივუბრუნდეთ.“

წლებეფილი წელი კულტურის სამინისტრომ აკაკის წლად გამოაცხადა, მაზიანი - მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უკეთ გაცნობა. სწორედ ამ მიზნით უკვე დაიწყო ღონისძიებები. „საკვირველი კაცი ვარ, ცოლი მეყვს და არა მეყვს, შვილი მეყვს და არა მეყვს, მეწინა მაქვს და არა მაქვს“ - ამ სიტყვების ავტორის ბიოგრაფია უკვე საინტერესოა, მთი უფრო, როცა მისი ავტორი ქართველეთის საყვარელი მეგობარია. აკაკის ბიოგრაფიული დეტალები სხვებშია თავმოყრილი. მათა სამდე ექსპონატი ისევ სახლის საკაბში იხიბავს. თუმცა მისი ბიოგრაფიული დეტალები ამჟერად კულტურის სამინისტროში თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუხუშუმში დაცული უნიკალური მასალა გამოიფინა - აკაკი ქართულ თეატრში.

„მხოლოდ ერთი ასაწარზე დაგვრჩენია - თეატრი, საიდანაც შეგეძლია გავიგონო ჩვენი დედანაც: ის ენა, რომელზედაც თხოქსობდა რუსთაველი, მბრძანებლობდნენ ოსტატები, რომელზედაც ქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც ნამბეზღი სიმბაღლით იღვწის ადიდებდნენ - ქეთივანები და მათი მუსკანები.“

ჩვენ, ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავიხსენოთ აწმყო და წარმოვადგინოთ მომავალი - ამ სიტყვებით ვივადებ, თუ როგორი ქომაგი აკაკი ქართული თეატრის. ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობასთან ერთად აკაკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლების, თეატრის, ბიბლიოთეკა-საბავთხილეობისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დანესხებებებს განვითარებას. იგი მხოლოდ ქომაგი არ იყო ქართული თეატრის, ქუთაისში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობდა, როგორც რეჟისორი და როგორც აქტიორი. პირველად სცენაზე აკაკი 1862 წელს გამოშულა - ზურაბ ანტონოვის პოსით. „მზის დახე-



ლებდა საქართველოში“, 1868 წელს პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულ აკაკი ქართველ ერისთავთან ერთად ქართული თეატრის აღორძინებისათვის იბრძვის. მან რამდენიმე სპექტაკლიც კი დადგა, მაგ. „პატარა კახი“, სადაც მთავარი როლი ნიკო გვარამეძე ითამაშა. აკაკიმ ქართულ თეატრში ყველა ამშულამი სცადა ბედი, 1903 წელს აკაკის ქართული თეატრის ხელმძღვანელობა და რეფისორობაც შესთავაზეს ერთი სეზონით, ამ შეთავაზებას იგი სთამოუნებით დათანხმებდა. „პატარებო! მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ამ სიბერის ვაჟს კიდევ გამოიყვანა თქვენთან ერთად სა-მუშაოდ...“ აკაკი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ქართული თეატრის გულმდებელი, მაყურებელი კი გამორჩეული ყოფილა. შალვა დადიანი იფიხებს: „აკაკი როგორც მაყურებელი მეტად უშუალო იყო და გულთა... ცოტა რამ სასაცილოზედაც სცენაზე ველით ხარხარებდა, სამწუხაროზე - დაღვრული იყო, მის ბოლოურ სახეზე აქარიდ იხატებოდა ცენებში გამორჩეული მულვარება“.

„აკაკი ქართულ თეატრში - ქართული თეატრის ქომაგისთვის ასეთი ექსპონიციის მონყობა ალბათ აუცილებელიც კი იყო, წარმოადგინო იყო აკაკი წერეთლის ხელნაწერი, ფოტოები მემორიალური ავტორეფები, ქართველი მხატვრების ი. შტენბერგის, კ. კვალიაშვილის, მ. გოცირიძის, და მირიანაშვილის ესკიზები სპექტაკლებისათვის: „ბაში-აუჯი“ და „პატარა კახი“. ფერად ნახატებში დადო-ცემულმა მსახიობთა კოსტუმებისა და ექსპონციების ესკიზებმა აკაკის ნაწარმოებთა ეპოქა აახა. პირველად გამოიფინა უნიკალური კოსტუმები კინოფილმიდან „ბაში-აუჯი“. თავად ჩოლოყაშვილის, აბლუ შაჰილის, ხელში ხაზის კოსტუმების შესრულების დროს გამოყენებულა ოქრის მუღანი, ძვირფასი ლითონები და აღმოსავლური ქსიციული შესრულებული აბლიკაციები. ერთისთვის ქალის კაბა კი XVII საუკუნის ადრეოვლური კოსტუმის ზუსტ ასლს წარმოადგენს და ქართული ფრესკების მიხედვით შეიკურა.“

გამოფენილი იყო აკაკი წერეთლის ფოტოები მემორიალური ავტორეფებით - რომ ის ფოტოს სახსოვრად უძღვნის მაკო საფაროვას, ასევე წერილი მაკო საფაროვასადმი, აკაკის ცნობილი ხელმოწერილი, სადაც მიმართავს მაკოს, რომ აქაური საქმეები არც ისე კარგად არის. კიდევ ერთი ფოტო ექსპონციიდან, აკაკის პორტრეტი დიდი ზომის, რომელსაც ამშვენებს მისივე წარწერა: „ვინც რომ ქალის გულწრფელობა ან სიკეთე დაიჯეროს, იმან აქოს ან ადიდოს, ლექსიც იმან დაუწეროს“ და იქვე უძღვის პოეტს მაშინდელი სცენის ვარსკვლავს ქებას, ლექსს. კრიტიკოსები მაკო საფაროვას სცენიურ ბრწყინებულებას, ვარკვეულწილად, აკაკის დამახარებლად მიიჩნევდნენ.“

აკაკი წერეთელი ქართველთა ცნობიერებაში პირველი დოკუმენტური ფილმილია შემოღის. ფილმის ავტორის ვასილ ამამუკელის ობიექტივის გმირი 72 წლის მეგობარია. ოპტელენუმში მიმავალი მოხუცი პოეტი რაჭატივის წინ პოზირებს და ამით მომავალ თაობაზე პირველ დოკუმენტურ კადრებს შემოუნახავს. ასე იქცა აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლენქუმში ქართველეთისთვის ორმაგად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალად, გამოიფინა 1912 წელს რაჭა-ლენქუმში მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოს ორიგინალი, სა-

დაც აკაკი მოცეკვავეთა შორის დგას. გამოფენაზე დამოვლერიებელმა პირველად იხილა აკაკის ვაჭის მუსიკალურ მიღვენობასთან დაკავშირებული მასალა. „წერავინ წუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმასო! მე გადაწყვეტილი შექონდა გუნებამი, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყველაფერი შესძლებომა!“ - ასე იფიხებს აკაკი თავის ქორწინებას. აკაკიმ ცოლად ბაზილევსკის ქალი ნატალია შეირთო, რომელსაც მითქმა მითქმა მოჰყვა, მითქის აკაკიმ „ცოლის მზითვეი მი-ლოვნილი აიღო და გავლანგაო, მაშინ, როდესაც თვითონ არ მინახავს რა. ეს ცოლისნამება დელსაც ბუერს მართალი ჰგონია“ („ჩემი თავგადასავალი“). აკაკის ცოლ-შვილთან რომ სახარბილო ურთიერთობა არ ჰქონია ამას წყაროებში ვიკებთ.“

მისი ცოლ-ვილი ძირითადად რუსეთში ცხოვრებით და სხვიტორში მხოლოდ ზაფხუ-ლობით ჩამოდილა. ვარინკა წერეთლის მოგონებში ვკითხულობთ: „აკაკი ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო, სასტუმროში ერთი პატარა ნომერი ეჭირა და იქ ცხოვრობდა, ნათესავეებთან ვაჩერებდა არ უყვარდა. ერთხელ სანახავად შევედი. მასთან სხვა მნახველებიც იყვნენ. შემოვიდა ფოსტალიონი და წერილი შემოიტანა. აკაკი კონერტს დახედა, გვერ-ზე გუდავასო.“

„ზო არ გიშლით ბატონო აკაკი, მეგონი, ნაკითხვას აპირებდით, მიმართა ერთმა სტუმართავანმა.“

„არა ბატონო, ამ წერილის შინაარსი ნაუ-კისხავადე კარგად ვიცი. ეს დაწველული ეპისტოლე ჩემი ცოლისაგან ვახლავთ და ზე-მოხად ვიცი, რომ შივ „პერეულის“ მეტი არა-ფერი არ გწერდა. მოგახსენებთ ფული იშვი-კათად მაქვს და „პერეულის“ იმითადე ვა-კეთებ ბოლმე“ - დაამძინდა აკაკიმ თავიანთი სიტყვებით.

სიცოცხლის უკანასკნელი დღეები აკაკიმ სხვიტორში, საკუთარ სახლში გაატარა. მისი მონადე ექიმი იხსენებს, რომ აკაკიმ არ ისურვა, რომ მეუღლე მის გვერდით ყოფილიყო. ვარინკა წერეთელი ასე იხსენებს მისი გარდაცვლენის უკანასკნელ სთუებებს: „სიკვდილის წინაც მასთან ვიყავი. ძალიან ცუდად იყო, შფოთავდა. თავითი ვუჯვავი და თვალცრემლიანი შევეყრებდი. აკაკი თვალდაზუსტული იყო. ხშირად ფუნსორები ყურთბაღობს. ამ დროს შემოვიდა ნამტრალევი მისი შვილი ალექსი. აკაკიმ თვა-ლი ცოტათი გაახილა და რაღაც ანიშნა: ალექსი საწოლთან მოვიდა და ჰკითხა რუსულად. დახარის ნიშნად აკაკიმ თავი გააქნია და თვა-ლი დახურა. ალექსის ტირილი აუტყდა. მე აკაკის თავზე ხელი ვადავუსევი და რამდენიმე-ჯერ წაქსივე: რა სურდა, შემომხედა, მოინდო-მა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა...“

ალექსი ხარკის თეატრში მოუბოდა და ცნობილი მუსიკოსი იყო. როთული იქცება, რო-გორი დამოუკიდებლად იყო მამა-შვილს შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, იმეფითი, რადგან-ნაც ერთ-ერთ წერილში აკაკი საგანგებოდ აღ-ნიშნავს, რომ მას პორტრეტი შეილი შეეგება: „მარხულში შვილი დამხედა, არ ვიცი მე შემე-გება თუ ვიგებს, თუ ვიგებს, შემომხედა, მოინდო-მა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა...“

ალექსი ხარკის თეატრში მოუბოდა და ცნობილი მუსიკოსი იყო. როთული იქცება, რო-გორი დამოუკიდებლად იყო მამა-შვილს შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, იმეფითი, რადგან-ნაც ერთ-ერთ წერილში აკაკი საგანგებოდ აღ-ნიშნავს, რომ მას პორტრეტი შეილი შეეგება: „მარხულში შვილი დამხედა, არ ვიცი მე შემე-გება თუ ვიგებს, თუ ვიგებს, შემომხედა, მოინდო-მა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა...“

საზოგადოებას დაუტოვა: „სამოსახლო ად-გილს შენობით და კარის ეკლესიის საკუთრე-ბით ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხ-ვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა, დანარჩენ მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემ მეუღ-ლესა და შვილს.“ ანდერძი არ შესრულდა, წე-რა-კითხვის გამავრცელებლმა საზოგადოებამ აკაკის მიერ ანდერძით დატოვებული სახლი არ ჩაიბარა (ერთ-ერთი ვერსიით საფრთხე იყო იმისა, რომ მევალებები სახლს უკან გამო-იხოვდნენ), არც დედათა სკოლა გაიხსნა. ამ-ჟამად აკაკის სახლში გახსნილია მისივე სახლ-მუხუშუმი. პოეტმა ანდერძში უფერვენი და უბრალოდ დასაფლავება ითხოვა კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში: „რადგან ზემოხსენებული სამოსახლო ადგილთან და-კავშირებულია ჩემთვის ფრად ძვირფასი მო-გონებანი, ანტომ ვთხოვლობ, როცა უფლი თავისთან ვამიწვევს, ვთხოვ დამასალავლით კარის ეკლესიის გვერდით, სოფელ სხვიტორ-ში. ვთხოვ დამასალავლით უბრალოდ და უფ-ერვენიოდ“ აკაკის ანდერძი არ შესრულდა, ქართველმა ხალხმა რომაბაზის მიერ დასმულ კითხვას, თუ ვინ არის აკაკი, ამით ნაწილობრივ გასცა პასუხი - აკაკი მართალია, ძალიან შორს სხვიტორიდან - კარის ეკლესიიდან, მაგრამ ქართველ გენიათა შორის დასაფლავებს, რად-განაც „აკაკი ჩვენი ერის მესაღლმულეა, ერის გულდინ ამილენული მთავარტატი, იგი თვით საქართველოა, იგი თვით ქართველი ერია“ (სოფრომ მაგალიბოშვილი).

ახლა, თუ გინდეთ იცოდეთ აკაკის ხასია-ტი, თვისებები, მისი აზრი მწერლობასა და ხელოვნებაზე, წაკითხეთ იონა მეუნარგაის საუბარი აკაკისათვის:

„სამბასსორომ ფურცლები აპაქის შსხსენა“
იონა მეუნარგაია: რომელი თვისებები უფრო მოგწონს აკაკისა?
აკაკი: მამაცური სულგრძობობა.
ი.მ.: რომელი თვისება მოგწონთ ქალისა?
აკაკი: გულწრფელი დაუდგრომლობა.
ი.მ.: მისი უფრო გინდა აკეთებდ? აკაკი: მისთანა საქმეს, რომელიც თავაშ-ველებს ჰლავგავედეს და გულგატყბილს ამხ-ველებდეს.
ი.მ.: რითი გასხვავდება შენი ხასიათი? აკაკი: გაფრქვლიანნი სიმქიცით და წერი-ლმანი უხასიათობით.
ი.მ.: რომელი ყველაზე დიდი ბედნიერება? აკაკი: ვარეშობის ატანა.
ი.მ.: რომელი ყველაზე დიდი უბედურე-ბა?
აკაკი: გულმოდროლობა.
ი.მ.: რა ფერი უფრო გიყვარს? აკაკი: დრო ზე მიხედნილი.
ი.მ.: რა ყვავილი? აკაკი: ვარდი.
ი.მ.: მის რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყო? აკაკი: მანინ აკაკი.
ი.მ.: სად უფრო გინდა ცხოვრობდ? აკაკი: ყველგან და არსად.
ი.მ.: რომელი მწერლის პროზა უფრო მოგ-წონს?
აკაკი: არდაზიანის.
ი.მ.: რომლის პოეზია? აკაკი: ვურამიშვილის.
ი.მ.: ვინ უფრო მოგწონს კაცთავან სიტო-რიაში?
აკაკი: გიორგი ბრწყინვალე.
ი.მ.: რომელი ვინ გირჩევენთა კაცთავან? აკაკი: ავთანდილი.
ი.მ.: ქალთავან ვინ მოგწონს რომანში? აკაკი: ნესტანდარეჯანი.
ი.მ.: რა სახლები უფრო გიყვარს? აკაკი: ელენე და არჩილი.
ი.მ.: რა უფრო გძულს ქვეყანაზე? აკაკი: წერილობისა.
ი.მ.: რა შეცდომას უფრო აპატებს კაცს? აკაკი: ყოველგვარს, თუკი შვიანინებს.
ი.მ.: რა სასწაული უფრო ეწყოში? აკაკი: წყალს.
ი.მ.: ვინ არის ყველაზე ღამაში ქალი ქუ-თაისში?
აკაკი: ის, რომელიც მე შემოყვარდება.
ი.მ.: ურის ცხოვრების დევიზი რა არის? აკაკი: შრომა და მოთმინება.
ი.მ.: რომელი ადგილი უფრო მოგწონს „ვეფხისტყაოსნისა“?
აკაკი: ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნე-ბული.

მასალა მოამზადა
ლალი ჯეღაძემ




სიმონ ჯანაშია


2010 წელს აბიტურიენტების მოზალდების დონესთან დაკავშირებით

დასასრული

ორივეს გათვალისწინებით, გამოცდების ცენტრი ყოველწლიურად ატარებს საცდელ ტესტირებებს. ამ ტესტირებების მიზანია, რომ იმავე პოპულაციაზე, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, შეამოწმოს ტესტური დავალბები და შეადგინოს ისეთი ტესტი, რომელშიც იქნება მარტივი, საშუალო და რთული დავალბები. სხვა უფრო რთულ მიზნებთან ერთად, მათი ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ ტესტის შედეგების მიხედვით აბიტურიენტების შედეგები ისე განლაგდეს შედეგების სკალაზე, რომ ერთი მხრივ მინიმალური იყოს ქულების დამთხვევის ალბათობა, ხოლო მეორე მხრივ ტესტი არ იყოს არც ძალიან მარტივი და არც ძალიან რთული. ტესტი ამ მიზნებთან მიმართებაში იდეალურია, თუ ტესტის მონაწილეების ნახევარი ტესტის მაქსიმალური შესაძლებლობიდან 50%-ს და ნაკლებ კითხვას პასუხობს, ხოლო დანარჩენი კი ქულების 50%-ს და მეტს იღებს. ვიზუალურად იდეალურთან მიახლოებული შედეგები ასე გამოიყურება:



გრაფიკი 2. 2010 წ. ფიზიკის ქულების განაწილება



გრაფიკი 1. 2010 წ. ისტორიის კარიანტი ქულების განაწილება

ამ გრაფიკზე ხედავთ 2010 წლის ისტორიის ტესტის ერთ-ერთი ვარიანტის განაწილებას. აქ კარგად ჩანს, რომ ძალიან ცოტა აბიტურიენტია, რომელიც ძალიან ცუდ (0-10) ან ძალიან კარგ (70-80) შედეგს აჩვენებს. აბიტურიენტების, დაახლოებით, ნახევარი 50%-ს და ნაკლებ სწორ პასუხს იძლევა. მეორე ნახევარი კი უკეთეს შედეგს აჩვენებს. შესაბამისად, ტესტი არც ძალიან რთულია და არც ძალიან ნაკლები და საკმაოდ კარგად არის მორგებული იმ პოპულაციაზე, რომელზეც გამოიცდება. ამგვარი (ე.წ. ნორმალური) შედეგების განაწილება აუცილებელია იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები შედეგობა იყოს შედეგებში და ასევე შედარებადი იყოს სხვადასხვა ტესტის ვარიანტის დამწერი აბიტურიენტის ქულა ერთმანეთთან.

რა სირთულეები აქვს გამოცდების ცენტრს ამ მხრივ? პირველი სირთულე ისაა, რომ თუ საცდელ ტესტირებაზე თვისებრივად ერთი ჯგუფი მოდის, ხოლო ოფიციალურ ტესტირებაზე სხვა, შესაძლოა, ტესტის სირთულე არ იყოს პოპულაციაზე მორგებული. ამ მხრივ სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. შესაძლოა, საცდელ ტესტირებაზე უფრო მოტივირებული აბიტურიენტები მოვიდნენ ან უფრო მშვიდ ვითარებაში დაწერონ ტესტი, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის შედარებისთვის. კიდევ უფრო პრობლემატურია, როდესაც ჩამბარებლების რაოდენობა არ იძლევა საცდელი ჯგუფის სწორად შერჩევის შესაძლებლობას. საგარაუდოდ, სწორედ ასეთი პრობლემა გვაქვს ფიზიკის გამოცდის შემთხვევაში. 2010 წელს 30 000-ზე მეტი აბიტურიენტი იყო დარეგისტრირებული და აქედან მხოლოდ 81-მა აირჩია ფიზიკის ტესტი. ამ ტესტის შედეგებისას საცდელი ტესტირებისთვის მსგავსი ჯგუფის შერჩევა უბრალოდ შეუძლებელია, რადგან იგივე აბიტურიენტებიც რომ მოვიდნენ საცდელ ტესტირებაზე, მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ტესტური დავალბების შედეგების სტატისტიკური ანალიზის გაკეთება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ამ აბიტურიენტებზე საცდელი ტესტირების ჩატარება, რადგან საცდელ ტესტირებაზე ოფიციალური ტესტის დავალბებშიც გამოიცდება. რადგან ფიზიკაში დავალბების მხოლოდ ერთი ვარიანტია, ერთსა და იმავე ჯგუფზე საცდელი და ოფიციალური ტესტის ჩატარება ნიშნავს იმას, რომ აბიტურიენტებს ნინასწარ ეცოდინებათ დავალბების უმეტესობა. დააკვირდით ფიზიკის ტესტის შედეგებს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე და შეადარეთ ქართულის განაწილების მაგალითს. ამკარაა განაწილების არათანაბრობა. აბიტურიენტების რაოდენობისა და მათი შედეგების ამგვარი სურათის გამო რთულია იმის თქმა, თუ რა სირთულისაა ის. ამგვარი სურათი ჩვეულებრივ ნიშნავს ხოლმე, რომ ტესტი არასწორადაა შედგენილი. ასეთი შედეგების მიხედვით ტესტი არ არის საშუალო სირთულის საკითხები - საკითხები ან ძალიან მარტივია, და, ან შედარებით რთულია. ამ ტესტში უფრო მეტი რთული კითხვა ვიდრე მარტივი. ტესტი ვერ ახერხებს იმ აბიტურიენტების გამოვლენას, რომლებიც მარტივ და საშუალო სირთულის კითხვებს პასუხობენ, მაგრამ რთულს ვერა. უფრო მეტი აბიტურიენტი პასუხობს რთულ კითხვებს, ვიდრე საშუალოებს, ანუ ტესტი არის შედგენილი ისე, რომ ან შეგიძლია პასუხის გაცემა და, ან არა.

ფიზიკა ექსტრემალური მაგალითია, მაგრამ ზოგადად რაც უფრო მცირეა პოპულაცია, რომელზეც შეგვიძლია საცდელი ტესტირებები ვატაროთ, მით უფრო მცირეა შანსი, რომ იდეალური ტესტი შევადგინოთ. დავაკვირდეთ №1 ცხრილში მოცემულ საშუალო ქულებს და ვნახავთ, რაც უფრო მეტია აბიტურიენტების რაოდენობა, რომელიც კონკრეტულ საგანს აბარებს, მით უფრო ახლოსაა 50%-თან მათი საშუალო ქულეები. თუ აბიტურიენტების ზრდას გავითვალისწინებთ სხვადასხვა არჩევით საგანში, ასევე ჩანს ამ შედეგთან წლებანდელი საშუალო ქულის დაახლოება, შარშანდელთან შედარებით. ასევე კარგად ჩანს ის, თუ რამდენად კონსისტენტურია ქართულის, ინგლისურისა და უნარების ტესტის სირთულე პოპულაციებთან მიმართებაში. საშუალო ქულების ცვლილება 2%-ს არ აღემატება, რაც ამ საგნის ტესტის შედეგების მაღალ პროფესიულ დონესა და ობიექტურად ნაკლებ პრობლემებზე მიუთითებს. ძალიან შორსაა იდეალური სირთულისგან მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტები. თუმცა მათემატიკის ტესტი წელს იდეალურს, სირთულის მხრივ, დამორდა, ხოლო საბუნებისმეტყველოები კი უფრო დაუახლოვდა.

ის, რაც უდავოდ შეიცვალა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, არის ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევით ნაწილში აბიტურიენტთა რაოდენობა, გამოცდების სტრუქტურა, შინაარსი და მეთოდოლოგია.

ცვლილებების ზომადი კონტაქსტი
 თუ ყველაფერ ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შარშანდელი და წლებანდელი შედეგების შედარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) შარშანდელი და წლებანდელი პოპულაციები თითქმის იდენტურია და ბ) თუ პოპულაციებთან ერთად წლებანდელი და შარშანდელი ტესტებიც მაქსიმალურად ახლოსაა ერთმანეთთან სირთულის დონით.
 რამდენად მსგავსია შესადარებელი თაობები ერთმანეთის? 2009 და 2010 წლის სასკოლო გამოშვებას, ორივეს:
 • ნასწავლი აქვს რეფორმამდელი ნასწავლო გეგმით I-IX კლასებში;
 • ახალი ნასწავლო გეგმით ნასწავლი აქვს X-XII კლასებში;
 • ნასწავლი აქვს ერთი და იმავე სახელმძღვანელოებით;
 • მათ ასწავლიდნენ ერთი და იგივე მასწავლებლები მსგავსი მეთოდების გამოყენებით;
 • სწავლობდნენ თვისობრივად ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის პირობებში;
 • სწავლობდნენ მსგავსი რაოდენობის შემცველი კლასების პირობებში.
 სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის საერთოდ ცნობილი ერთი წლით დამორბეული თაობების მნიშვნელოვანი განსხვავება საგანმანათლებლო მიღწევების მიხედვით. მით უმეტეს უცნობია შემთხვევა, როდესაც ყველა ის პარამეტრი, რაც ზვეთი ჩამოთვალე, უცვლელია, შედეგები კი მკვეთრად გაუმჯობესებული ან გაუარესებული, როგორც ამას ქ-ნი. მიმინომილი გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის თაობას უფრო მეტ ხანს მოუწია უფრო გამოცდილი, უფრო მეტ ტრენინგავალი მასწავლებელთან, ახალგაზრდობაში უკეთესი სწავლა, უფრო მეტი შეხება მკონდა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, უფრო გამოცდილი რეპეტიტორებთან ემზადებოდა, იმის ვარაუდი, რომ ეს თაობა მნიშვნელოვნად უკეთეს შედეგს უნდა აჩვენებდეს, უსაფუძვლოა.

თუ დავუშვებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები მეტ-ნაკლებად უცვლელი იყო თაობებს შორის, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა, ის ცვლილებები, რაც მოხდა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგიისა და ქიმიის) ტესტირების შედეგების კუთხით, რა პარამეტრების ცვლილებითა გამოწვეული? ის, რაც უდავოდ შეიცვალა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, არის ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევით ნაწილში აბიტურიენტთა რაოდენობა, გამოცდების სტრუქტურა, შინაარსი და მეთოდოლოგია:

- სამი გამოცდის ნაცვლად, სავალდებულო გახდა ოთხი გამოცდის ჩაბარება და შესაბამისად, მათი რიცხვი, ვინც არჩევით სავალდებულო აბარებს, დრამატულად გაიზარდა;
- შეიცვალა მაქსიმალური ქულების მოცულობა უნარების, ლიტერატურის, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტირებაში;
- მნიშვნელოვნად შეიცვალა ტესტების შინაარსი, ტესტური დავალებების რაოდენობა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

**კლიან შორსა იდალური სირთულისგან
გათემატიკისა და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებების ტესტები. თუმცა გათემატიკის
ტესტი წელს იდალურს, სირთულის მხრივ,
დაშორდა, ხოლო საბუნებისმეტყველოები
კი უფრო დაუახლოვდა.**

სამიდან ოთხ სავალდებულო გამოცდაზე გადასვლას უნდა უკავშირდებოდეს მათემატიკის გამოცდის ჩაბარებულთა რიცხვის დრამატული (64%-იანი) ზრდა. 2009 წელს მათემატიკა, დაახლოებით, 8500 აბიტურიენტი აბარებდა, 2010 წელს კი – თითქმის 14000. შესაძლებელია თუ არა, მათემატიკის ქულების გაუარესებაზე ამას ემომქმედა? საიდან ვიცით, რომ 2010 წელსაც 5500 აბიტურიენტი ნაკლები რომ გასულიყო გამოცდაზე, იმავე შედეგს მივიღებდით როგორც საშუალო ქულების, ისე კომპეტენციის ზღვარზე ჩაჭრილების კუთხით? ხომ შესაძლებელია, რომ ეს ის აბიტურიენტი არიან, რომლებიც 2009 წლის თაობისგან განსხვავებით ნაკლები მოტივაციით გავიდნენ გამოცდაზე, რადგან ამ გამოცდის დაწესება მათი არჩევანი არ ყოფილა და რაც, შესაძლოა, დამატებით თავის ტკივილად აღიქმებოდა? იგივე კითხვები შეგვიძლია დავსვათ ლიტერატურის ტესტის ჩაბარებულთა მიმართაც. 2009 წელს ამ ტესტს, დაახლოებით, 1000 აბიტურიენტი აბარებდა, ხოლო 2010 წელს კი შედეგად მეტი. საიდან ვიცით ის, რომ ამავე რაოდენობას რომ ჩაებარებინა 2009 წელს ლიტერატურა, იმავე შედეგებს არ მივიღებდით, რაც წელს მივიღეთ?

აბიტურიენტების რაოდენობის ზრდა ასევე გვაქვს წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (100%-ზე მეტი) და საზოგადოებრივი მეცნიერებებში (დაახლოებით, 400%-ით). თუმცა აქ მათემატიკისგან განსხვავებით სამივე საგანში საშუალო ქულების ზრდა გვაქვს, ხოლო ჩაჭრილების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი კი მხოლოდ ფიზიკაში უარესდება. თუ აბიტურიენტების რაოდენობის ზრდა მსგავსად მოხდა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებაში, მაშ რატომ გვაქვს განსხვავებული მიმართულებით ცვლილება? მათემატიკისა და ლიტერატურაში შედეგები გაუარესდა, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ბიოლოგია, ქიმია) და საზოგადოებრივი (ისტორია, გეოგრაფია) გაუმჯობესდა. აქ პასუხი ალბათ უნდა ვეძებოთ ტესტის სტრუქტურაში და ტესტის სირთულის გამოცდის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში.

ცვლილება ტესტის სტრუქტურასა და შინაარსში

2009 წელს ყველა ტესტი იყო 100-ქულიანი. 2010 წელს ზოგიერთ ტესტში ქულების რაოდენობა შემცირდა. მათემატიკის ტესტი 100-ქულიანიდან გახდა 55-ქულიანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შემცირდა 75-მდე, ლიტერატურისა და უნარების ტესტზე – 80-მდე. ამას სამეცნიერო ენაზე ტესტის შკალის შემცირება ჰქვია. რას ნიშნავს ეს ცვლილება სტუდენტებისთვის და რას ნიშნავს ტესტის ჩამბარებლისთვის?

სტუდენტისთვის ტესტის შკალის შემცირება ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეცდომა ან სწორი პასუხი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე შემცირებამდე. უფრო მეტი შკალა, ჩვენს შემთხვევაში, ნაკლებ ტესტურ დავალებასაც გულისხმობს. შესაბამისად სტუდენტს ნაკლებ შანსი აქვს, თუ რომელიმე კითხვაზე პასუხი არ აქვს, სხვა კითხვებზე პასუხის სწორად გაცემით მაქსიმალური კომპენსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის დაბაკლისი.

ტესტის ჩამბარებლისთვის ტესტის შკალის შემცირება ნიშნავს დეტალების დადგენის შესაძლებლობის შემცირებასაც. ალბათობა, რომ ერთსა და იმავე ქულას ორი აბიტურიენტი მიიღებს, იმატებს. აბიტურიენტების შედეგების მიხედვით მათი დიფერენციაციის შესაძლებლობა იკლებს. ახალგაზრდისთვის დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ორ ფოტოსურათს. პირველ ფოტოსთან შედარებით მეორე, დაახლოებით, იმდენადვეა შემცირებული

ლო, რამდენადაც არის შემცირებული შკალა მათემატიკის ტესტში წელს, შარშანდელ შკალასთან შედარებით. სურათის შემჭიდროვების დროს იცვლება ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია დეტალების შესახებ. ადვილი შესაძენია, რომ პირველ სურათზე თითოეული ბავშვის ინდივიდუალური დეტალი უფრო კარგად აღმჩანდა, ვიდრე მეორეზე. (იხ. სურათი)

დააკვირდით იმას, თუ რა მოხდა მათემატიკის ტესტის შემთხვევაში. ვითარება გართულებულია ორმხრივად. საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ ტესტის შკალა შემცირდა 45%-ით და 100-ქულიანის ნაცვლად 55-ქულიანი გახდა. აქ ტესტის ჩამბარებლების რიცხვი გაიზარდა 64%-ით. ეს რამდენიმე მაგალითი უარყოფით ეფექტს იძლევა შედეგების ადეკვატურად ანალიზის გაუარესებაში. მსგავსი შემთხვევა გვაქვს ლიტერატურაში. ტესტის ჩამბარებლების რიცხვი გაიზარდა 600%-ით, ხოლო შკალა დაბატარავდა 20%-ით, რაც ორმხრივად ამცირებს ტესტის შესაძლებლობებს.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, შეიცვალა ტესტის სტრუქტურა და შინაარსიც. 2009 წელს გამოცდა მიმდინარეობდა ორნაწილიანი ტესტით. პირველი ნაწილი (25-ქულიანი) საერთო იყო ყველა საბუნებისმეტყველო საგნის ჩამბარებლისთვის. მეორე (75-ქულიანი) ნაწილი კი საგნობრივ კითხვებს ეხებოდა. 2010 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 75-ქულიანი ნაწილი დარჩა მხოლოდ და ზოგად ნაწილში ტესტირება გაუქმდა. შესაძლოა სწორედ ზოგადი ნაწილის გაუქმება იყო სამივე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საშუალო ქულების გაუმჯობესების ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ განსხვავებით ფიზიკის ტესტისგან, ბიოლოგიის ტესტის ჩამბარებლების რაოდენობამ ისეთ ნიშნულს მიაღწია, სადაც საცდელი ტესტის აღმინისტრირება ტესტის სირთულის დასაგვეწინააღმდეგებლად უკეთეს შედეგებს იძლევა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების შემთხვევაში ტესტის ჩამბარებლების რიცხვი 400%-ით გაიზარდა. შკალა ერთიანი, ისტორიისა და გეოგრაფიის, ტესტში 100-ქულიანი იყო 2009 წელს. წელს, ამ საგნებში ცალ-ცალკე გამოცდაზე, ტესტი 80-ქულიანი გახდა. ეს ნიშნავს, რომ რეალურად შკალა თითოეულ საგანში, ისტორიისა და გეოგრაფიაში კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ამას ტესტის სირთულის უკეთესად დადგენისა და დაგეგმვის შესაძლებლობა უნდა მიეცა მისი შემდგენლებისთვის.

დასკვნა


მონაცემების ანალიზით ვაჩვენებთ, რომ სტატისტიკური ანალიზის საფუძველზეც ჩანს, აბიტურიენტების ქულები წელს უფრო მეტ ან იმდენად საგანშია გაუმჯობესებული, ვიდრე გაუარესებული. შესაბამისად, ეს ვერ გამოდგება არგუმენტად აბიტურიენტების მოზაღდების დონის გაუარესების მოსაზრების მხარდასაჭერად.

**აბიტურიენტების რაოდენობის, ტესტის
სტრუქტურისა და შინაარსის მკვეთრი ცვლილება
არჩევით საგნებში კლიან საეჭმოს ხდის იმის
შესაქმებლობას, რომ შარშანდელი და
წლებანდელი შედეგების შედარება
მეთოდოლოგიურად გაბართვად ული იყოს**

აბიტურიენტების რაოდენობის, ტესტის სტრუქტურისა და შინაარსის მკვეთრი ცვლილება არჩევით საგნებში ძალიან საეჭმოს ხდის იმის შესაძლებლობას, რომ შარშანდელი და წლებანდელი შედეგების შედარება მეთოდოლოგიურად გაბართვად ული იყოს. მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია შედარება თვით ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის შექმნის თეორიული საფუძვლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, აბიტურიენტების მოზაღდების არა მხოლოდ გაუარესებაზე, არამედ გაუმჯობესებაზე საუბარიც უსაფუძვლოა.

ერთადერთი, რაც ამ კონტექსტში შეიძლება მსჯელობის საგანი იყოს, არის ტესტებში ქულების ცვლილების მიზეზები. ქულებში ცვლილებები კი, როგორც ვნახეთ, დამოკიდებულია ტესტის შექმნის მეთოდოლოგიაზე, მის სტრუქტურაზე, შინაარსზე, ტესტის ჩამბარებლების მოტივაციაზე და ჩასაბარებელი ტესტების რაოდენობაზე.


შესაძლოა, ასევე საინტერესო სასაჯელო იყოს, რა განაპირობებს გამოცდების შედეგების იმ ინტერპრეტაციას, რასაც გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მაია მიმინოშვილი გვთავაზობს. სამეცნიერო ლიტერატურაში განათლების პოლიტიკის შესახებ მცადარი მოსაზრებების გავერცელების პრაქტიკა, საგანმანათლებლო მიღწევების სპეციალურად დაკინება ან გაზეიადება საკმაოდ საინტერესოდ არის აღწერილი. ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარისთვის ამ სტატიაში აღწერილი შემთხვევა, სამწუხაროდ, გამოხატული არ არის, განსაკუთრებით, როდესაც ეს გამოცდების ცენტრის მიერ შეგროვებული მონაცემების წარდგენას ეხება. მთავარი სამწუხარო ელემენტი კი აქ ის არის, რომ სწორედ ასეთი განცხადებები წელ-წელს ამცირებს ნდობას გამოცდების ცენტრის მიმართ. ამან კი, შესაძლოა, განათლების რეფორმის ფლაგმანი ინსტიტუციისგან, წელ-წელს, მისი განხორციელების ერთ-ერთ შემფარებლად აქციოს.



დაბრუნება „ზღაპრულ მხარეში“

„ეს ქვეყანა არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰგავს, რომელსაც მე ვიყნობ და იმ გრძნობით ვარ შეპყრობილი, რომ მთელი სიყრფილე სიამოვნებით ვიწვინებდი იქ.“

ქრეე პამსუნი



ნახევრი ბიოგრაფიიდან

ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქრეე პამსუნი (ქედერსენი) დაიბადა ნორვეგიის უიკინგის რაიონის სოფელში – ხუტორ პამსუნდში. ამ სოფლის სახელი შემდგომ ლიტერატურულ ფსევდონიმად აირჩია. ქრეე პამსუნმა წერა ძალიან ადრე დაიწყო. 1877 წელს (მაშინ თერამეტი წლის იყო) გამოდის მისი პირველი ნოველა „უცნაური კაცი“. ნორლანური სიყვარულის ამბავი“, ერთი წლის შემდეგ კი იბეჭდება საკმაოდ დიდი მოცულობის ბალადა „პაემანი“. ორივე ნაწარმოები მონონებით სარგებლობს ხალხში. გახალისებული ქრეე პამსუნი გადამწყვეტს სერიოზულად მოკიდოს ხელი მწერლობას და წერს მოთხრობას „ფრიდა“. მაგანი ვაჭარი გულუხვად აფინანსებს ნიჭიერ ქაბუკს და ფრთხილად უზრუნველყოფს მისი მიმდევარების, რომელიც იმხანად საკანდიდაციოს სულიერი კულტურის ცენტრია. კოპენჰაგენში პამსუნს ბედი არ სწყალობს – რედაქციები „ფრიდას“ ინუბენენ. ჯიბემთხლებული ქაბუკი დიდი გაჭირვებით ბრუნდება ნორვეგიაში და საცხოვრებლად ქრისტიანიაში რჩება. ცდილობს სტატიების წერით გაიტანოს თავი, მაგრამ უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი, სხვა თანამემამულეთა მსგავსად, იძულებულია ემიგრაციაში წავიდეს – 1882 წელს ქრეე პამსუნი ამერიკაში მიემგზავრება.



„ამაზე უფრო მშვენიერი ზღაპარი აღარ ვადასმევებ, ალბათ, არასოდეს. განსაკუთრებით მშვენიერი იყო ვლადიკავკაზიდან მთებზე გადავლით თბილისში ჩასვლამ... ეს სხვა სამყაროა, ადამიანები იქ უფრო ლამაზები არიან, ღვინო უფრო ნიბელია და მთები კიდევ მაღალი. და მე ვფიქრობ, რომ ყაზბეგის სიხლოვეს მთელი წელიწადი უწოვრობს ღმერთი.“

ქრეე პამსუნი


სელოვნების მუხეუმში ფოტოგამოფენა „საქართველო – მითი და რეალობა“ გაიხსნა. გამოფენის ორგანიზატორია საქართველო-გერმანიის საზოგადოება, პარტნიორები – საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი და ეროვნული მუხეუმი. საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ცნობით, გამოფენაზე ორი ფოტოგრაფის – **ვოლფგანგ კორალისა** და **გურამ ნიბახაშვილის** ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. ორი ხელოვანის ნამუშევრების გამაერთიანებელი თემა საქართველოა. გამოფენა მიმდინარეობს 1000 წლისთავს ეძღვნება. ამჯერად ლონისძი-

ებში მონაწილეობენ როგორც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ფოტოკორაჟული კოლექტივები, ასევე საოპერო მუსიკის წარმომადგენლები. ფესტივალი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ნაწილი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აფხაზეთის ლეგენდარული ახალგაზრდული ინტერნაციონალური კაპელის 30 წლის იუბილეს აღნიშნავს იქნება. აღნიშნულთან დაკავშირებით მსოფლიოს 11 ქვეყნიდან – საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, ლატვიიდან,



იტალიიდან და ხორვატიიდან – კაპელის ძველი მონაწილეები ჩამოვლენ. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ „ჩვენებურების“ პროექტი, 2004 წლის 18 ოქტომბერს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში აკურთხა. პროექტის ავტორი და ფესტივალის პრეზიდენტი გიული ალასანიია.

1 ოქტომბერს ხელოვნების ცენტრი „თბილისი“ გაიხსნება. ცენტრი იმუშავებს თანამედროვე ვიზუალური კულტურის განვითარებისა და კონტექსტუალური ხელოვნების მართვით – განხორციელებს თანამედროვე ინოვაციური ნამუშევრების პროფესიული გამოფენებს; სტუდენტთა სწავლება ვიდეო, აუდიო, ფოტოგრაფიისა და ფერწერა/გრაფიკის სახელოსნოებში; თანამედროვე ქართული ხელოვნების კვლევა; იგეგმება სხვადასხვა სახითის საინტერესო ღონისძიებები. ცენტრის საგალერეო სივრცე გაიხსნება გამოფენით „ჯანმრთელობა“.

 <p>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</p>	<p>მისამართი: ტბილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba</p>	<p>რედაქციის რეკვიზიტები: საბარემოქლონის განკმ ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრი: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში მიერ.</p> <p>რედაქციით შიშობული ხელნაწერები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	